განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

2 ივლისი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 1109
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ხერხეულიძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დავითაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ბურდილაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს მმართველობის სფეროში თანამედროვე ცოდნითა და საჭირო უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების მომზადებას. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელთაგან 180 კრედიტი ეთმობა ზოგადსაუნივერსიეტო და პროფესიის სავალდებულო კურსებს, ხოლო 60 კრედიტის არჩევის საშუალებას დარგობრივი ასარჩევი საგნების ბლოკი იძლევა. სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ თავისუფალი კრედიტებით, არაუმეტეს 20 ECTS კრედიტისა.

შინაარსის მიხედვით საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, სფეროს მულტიდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე მოიცავს მენეჯერულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტებს, თუმცა ფოკუსირებულია პოლიტიკურ მიმართულებაზე, რაც დამახასიათებელია როგორც საჯარო პოლიტიკის (Public Policy) ასევე საჯარო მმართველობის (PA) პროგრამებისთვის.

სტრუქტურის მიხედვით, პროგრამა ლოგიკური და დაბალანსებულია და უზრუნველყოფს სწავლების საწყის ეტაპზე საბაზისო შესავალი კურსების, ხოლო სწავლების მომდევნო ეტაპზე უფრო რთული კომპლექსური კურსების მიწოდებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 2 ივლისს. წინასწარგანსაზღვრული სამუშაო განრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები ადმინისტრაციის წარმომდგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის ურზუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორთან, ფინანსური დეპარტამენტის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან, პროტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუნდეტებთან.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და ქვე-კომპონენტები შეფასდა შემდეგნაირად:

	სტანდარტი	შესაბამისობა
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეორე სტანდარტთან მიმართებით, 2.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკში დააემატოს პროფესიული პრაქტიკის კურსი, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, სწავლის დამამთავრებელ საფეხურზე, ინტერესის შემთხვევაში ისარგებლონ შრომის ბაზარზე არსებული პრაქტიკის შესაძლებლობებით როგორც საჯარო ორგანიზაციებში, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, გაიარონ პრაქტიკა და მიიღონ სამუშაო გამოცდილება რეალურ ორგანიზაციულ გარემოში. პრაქტიკის ნამდვილობის დადგენის ასევე მისი პრაქტიკული ღირებულებისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით, პროფესიული პრაქტიკის კურსი დარეგულირდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებთან ან/და პრაქტიკის სილაბუსით, რომელიც ზედმიწევნით განსაზღვრავს პრაქტიკაზე დაშვების, ორგანიზებისა და ანგარიშგების მექნიზმებს.
  - რეკომენდებულია, პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკს დაემატოს საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი, რომელიც კვლევითი და პოლიტიკის დოკუმენტის (Policy Paper) შემუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებით დაინტერესებულ სტუდენტებს მისცემს წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად რელევანტური მეთოდოლოგიის განსაზღვრის, მინაცემთა დამუშავების, ანალიზისა და წერის უნარების განვითარების შესაძლებლობას.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სწავლის შედეგების შეფასებისას თითოეული კურსისთვის (განსაკუთრებით პროგრამის სავალდებულო კურსებისთვის) გაანალიზდეს კურსში გაწერილი ცალკეული შეფასების კომპონენტის (მაგ: ქვიზი, რეფერატი, შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა) შედეგები და მათი ურთიერთმიმართება.
  - სასურველია პროგრამაში გათვლისწინებული იყოს ჩარიცხული სტუდენტების დიფერენციაცია ინგლისური ენის ცოდნის მიხედვით, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას პირველი სემესტრიდან დაიწყოს ინგლისური ენის შესწავლა იმ დონიდან, რომელიც შეესაბამება მის ცოდნას.
  - სასურველია ყველა ცალკეული კურსის სილაბუსში მითითებული იყოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ველში მოცემული სახელმძღვანელოების გამოცემის წლები.
  - სწავლის პერიოდში პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია მოხალისეობრივი საქმიანობის (Community work/Volunteering) კომპონენტის შემოღება, რაც სტუდენტებს დაეხმარება ჩაერთონ საზოგადოებისთვის სასარგებლო სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობაში.
  - სასურველია გაძლიერდეს პროგრამის ცალკეული კურსების ფარგლებში (მაგ: შესავალი საჯარო მართვაში) არსებული სასწავლო ვიზიტების (study visits) პრაქტიკა, გავცელდეს სხვა კურსებზეც (მაგ: შესავალი საჯარო პოლიტიკაში) და დაემატოს პროფესიული კონტაქტების ჩამოყალიბების (networking) კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციების შესახებ მეტ ინფორმირებულობას, საკონტაქტო პირების, კომუნიკაციების არხებისა და მეთოდების შესახებ თვალსაჩინო და პრაქტიკული ინფორმაციის მიღებას, რაც უფრო დინამიკურს, პრაქტიკულს და საინტერესოს გახდის სწავლის პროცესს.
  - უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დასაქმების სამსახური, რომელიც პერიოდულად აწყობს შეხვედრებს შრომის ბაზრის წამყვან კომპანიებთან და ახორციელებს სტუდენტების ინფორმაციის ამაღლებას კარიერული განვითარების შესახებ, თუმცა სასურველია აღნიშნულმა სამსახურმა თითოეულ მსურველ სტუდენტთან ინდივიდუალურად იმუშავოს, რადგან პირადი პორტფოლიოს შედგენა შესაფერისი დამსაქმებლის შერჩევასა და კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლების ქსელის NISPAcee-ის ექსპერტების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში.
- პროგრამაზე მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალის, ასევე შიდასაუნივერსიტეტო ეტაპების შესახებ ინფორმაციის მაღალი ხელმისაწვდომობა დივერსიფიცირებული საშუალებებით.
- უცხოელ პარტნიორთა მრავალფეროვანი ქსელი, რაც სტუდენტებს აძლევს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას
- სკოლის ფარგლებში არსებული მოცულობითი აკადემიური ბაზები და ლიტერატურა, რაც იძლევა სათანადო სამაგიდო კვლევის ჩატარების საშუალებას

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- 2018 წელს შემუშავებული და დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები.
- ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზანი ახალი რედაქციით, რომელიც კონკრეტულად შეესაბამება პროგრამის დასახულ შედეგებს.
- 2014 წლის შემდეგ ბიბლიოთეკის რესურსების მნიშვნელოვანი განახლება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა „კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება". საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო მართვის სკოლის ფარგლებში, მიზნად ისახავს შესაბამისი ცოდნითა და ღირებულებებით აღჭურვილი სახელმწიფო მართვის სპეციალისტების მომზადებას "რომლებსაც საფუძვლიანად ესმით საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა; შეუძლიათ იმუშაონ საჯარო ან კერძო სექტორში ორგანიზაციული მართვის და პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით; გააზრებული აქვთ სამართლისა და კანონმდებლობის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სახელმწიფო მოწყობის და მართვის პროცესში; შესწევთ ეფექტური კომუნიკაციის უნარი და კრიტიკულად იაზრებენ საჯარო ორგანიზაციებისა და პოლიტიკის მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქვთ ცოდნა და პრაქტიკული უნარი მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო სექტორის, პოლიტიკური სისტემის, საჯარო ინსტიტუტების აღმშენებლობაში". აღნიშულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნები სრულად გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, შეესაბამება და ეყრდნობა უნივერსიტეტის მისიაში აღწერილ ძირითად მიზნებსა და ღირებულებებს და ასევე თანხვედრაშია სახელმწიფო მართვის სკოლის მიზნებთან, რომელიც თავის მხრივ, შემდგომში მდგომარეობს: "სკოლის მიზანია თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი პროფესიონალი საჯარო მოხელეების, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისა და დიპლომატების აღზრდა; ქვეყანაში სახელმწიფო მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებში პროფესიონალიზმისა და მაღალი ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბების ხელშეწყობა". ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკლარირებული მიზნები ნათლად ასახავს საჯარო მმართველობის პროგრამის მიმართულებას და მნიშვნელობას, ისევე როგორც მის როლს საჯარო ადმინისტირებისა და ზოგადად სახელმწიფო მართვის სფეროს განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კავკასიის უნივერსიტეტის დებულება;
- კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დებულება;
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- www.cu.edu.ge;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია 8 სწავლის შედეგი, სადაც აღწერილია ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომლებსაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს. პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ასახული პროგრამის შედეგების რუკაში.

პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

სამიზნე ნიშნულად შერჩეულია აკადემიური მოსწრების შემდეგი მაჩვენებლები: უმაღლესი და ყველაზე დაბალი მოსწრების სტუდენტთა ხვედრითი წონა - სასწავლო კურსის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10-10%. „ძალიან კარგი“ და „დამაკმაყოფილებელი“ შეფასების შემთხვევაში - 25-25%, ხოლო საშუალო მოსწრების სტუდენტების შემთხვევაში - 30%.

პირდაპირი შეფასება ხორციელდება საჯარო მმართველობის პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმის მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტმა შეიმუშავა და დანერგა 2018 წელს. მექანიზმი გულისხმობს 4-წლიანი ციკლის განმავლობაში პროგრამის ძირითადი კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ მონაცემების გენერირებას, ანალიზს და მონიტორინგს. შედეგების რუკაში ასახულია ის სავალდებულო კურსები, რომლებიც ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას სამდონიანი სკალის გამოყენებით (მაღალი, საშუალო, დაბალი). სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სავალდებულო კურსისათვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა მინიმუმ 80% ფასდება 51 ქულით ან მეტით. თითოეული ძირითადი კურსისთვის ასევე განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული პროგრამის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამის შედეგების შესაფასებლად ჯგუფდება ის ძირითად კურსები, რომლებსაც საერთო აქვთ მინიმუმ ერთი შედეგი. მექანიზმის მიხედვით, პროგრამა აღწევს დასახულ მიზანს, თუ დაჯგუფებული კურსებისათვის ჯამური საშუალო მაჩვენებელი აღემატება 80-%-ს.

შეფასების არაპირდაპირი მეთოდები ეფუძნება დაინტერესებული მხარეების: სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვების, კურსდამთავრებულა პერიოდული გამოკითხვების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს. ასევე სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ისეთი მონაცემები როგორებიცაა ჩარიცხულ სტუდენტების რაოდენობა, მობილობისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ა.შ.

შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრმაში შემავალი როგორც ინდივიდუალური კურსების, ასევე მთლიანად პროგრამის გასაუმჯობესებლად. თვითშეფასებისა და ინტერვიუების მიხედვით 2018 წელს პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, მათ შორის სწავლის შედეგების ანალიზსა და სხვა არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებზე დაყრდნობით. დაკორექტირდა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები. სწავლის შედეგების შესაბამისად დაკორექტირდა პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკი, განახლდა სტრუქტურა (მაგ: პირველ კურსზე გადმოინაცვლა საგანმა „აკადემიური წერა“), დაიხვეწა სილაბუსები და დაემატა სპეციალობისთვის მნიშვნელოვანი საგნები, როგორებიცაა მაგალითად შესავალი საჯარო პოლიტიკაში და პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი 1
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი 2
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს თითოეული კურსის შედეგებზე დაკვირვებასა და ანალიზს ყოველსემესტრულად. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, ასევე თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის სამსახურთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ შედეგების ანალიზისას აქცენტი კეთდება ცალკეულ კურსში სტუდენტის მიერ

მიღწეულ საბოლოო შედეგზე, თუმცა არ ხორციელდება კურსში გაწერილი ცალკეული შეფასების კომპონენტის (მაგ: ქვიზი, რეფერატი, შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა) შედეგების და მათი ურთიერთმიმართების ანალიზი, რაც გამორიცხავს, უფრო სიღმისეული პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას (მაგ: სტუდენტების უმეტესობა იღებს მაღალი ქულებს ყოველკვირეულ გამოკითხვებში, მაგრამ ვერ ლახავს მინიმალურ ზღვარს ფინალურ გამოცდაზე). შესაბამისად, თითოეული კურსისთივს (განსაკუთრებით პროგრამის ძირითადი კურსების) შეფასების ცალკეული კომპონენტებზე დაკვირვების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლის შედეგების ანალიზის პრაქტიკას და ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი პრობლემების აღმოჩენას, აღმოფხვრას და შესაბამისად პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • პროგრამაზე მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალის, ასევე შიდასაუნივერსიტეტო ეტაპების შესახებ ინფორმაციის მაღალი ხელმისაწვდომობა დივერსიფიცირებული საშუალებებით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • 2018 წელს შემუშავებული და დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. • ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზანი ახალი რედაქციით, რომელიც კონკრეტულად შეესაბამება პროგრამის დასახულ შედეგებს.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის	X			

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რაც დასტურდება იმით, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. პროგრამის მოთხოვნაა ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენის - ინგლისურის - ჩაბარება, რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შეხვედრების მიხედვით მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ დადგინდეს მიღებული ნაკადის მზაობა პროგრამის სრულყოფილად ათვისებისთვის. აქვე, აღსანიშანვია, რომ ინგლისურ ენის გამოცდასთან დაკავშირებით, სტუდენტებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში სწავლისთვის საჭირო ინგლისური ენის დონე მნიშვნელოვნად აღემატება ეროვნული გამოცდების საგამოცდო დონეს. პროგრამაზე მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ასევე შიდასაუნივერსიტეტო ეტაპების შესახებ ინფორმაცია სრულად არის განთავსებული უსდ-ს ვებ-გვერდზე. სხვადასხვა დაინტერესებული პირების/ჯგუფისთვის, უნივერსიტეტი ინფორმაციას ასევე ავრცელებს სოციალური ქსელების, ბროშურებისა და ბუკლეტების მასალების, საინფორმაციო შეხვედრების, თემატური ტრენინგების, სკოლებში ვიზიტებისა და სხვა არხების საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა • კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის ვებგვერდი • ინტერვიუს შედეგები (შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია პროგრამაში გათვლისწინებული იყოს ჩარიცხული სტუდენტების დიფერენციაცია ინგლისური ენის ცოდნის მიხედვით, რაც სტუდენტებს მისცემს პირველი სემესტრიდან დაიწყოს ინგლისური ენის შესწავლა იმ დონიდან, რომელიც შეესაბამება მის ცოდნას და პროგრამის განმავლობაში დაფაროს B2/2 დონეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა შედგენლია უსდ-ს მიერ დამტკიცებული პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პერსონალის მართვის, ფინანსური, მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტრატეგიული განვითრების დეპარტამენტები, ბიბლიოთეკა და სკოლის ადმინისტრაციული ერთეულები.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე კრედიტების სემესტრული, წლიური და სრული რაოდენობა, სავალდებულო და არჩევითი საგნების მიხედვით განაწილება შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება #3-ის მიხედვით. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს და მოიცავს 240 ECTS კრედიტს, შესაბამისად 60 ECTS კრედიტს - წელიწადში და 30 ECTS კრედიტს - სემესტრში. პროგრამით ასევე განსაზღვრულია თითოეული საგნის კრედიტების მოცულობა, რაც გულისხმობს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ საათებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობა განსაზღვრულია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა განისაზღვრება კონკრეტული საგნის ფარგლებში დავალებების (ესსე, კვლევითი ნაშრომი, პრეზენტაცია, საკურსო) მიხედვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების

მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროგრამის ფარგლებში 240 ECTS კრედიტიდან 180 კრედიტი ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას. აღნიშნული 180 კრედიტიდან 125 კრედიტი დარგობრივ და პროფესიულ საგნებს, ხოლო 55 კრედიტი უცხო ენისა და ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების შესწავლას ეთმობა. დანარჩენი 60 კრედიტისკურსები შემოთავაზებული ასარჩევი დარგობრივი საგნების ფარგლებში. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ თავისუფალი კრედიტების ფარგლებში მიიღონ ცოდნა მათთვის საინტერესო მიმართულებით უნივერსიტეტის მასშტაბით შეთვაზებული კსაბაკალავრო ურსების ფარგლებში, ან სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან ან მობილობის დროს შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით.

სასწავლო პროგრამაში კურსებისთვის მინიჭებული კრედიტები შეესაბამება კურსების სილაბუსების მიხედვით გაწერილ დატვირთვას და პროგრამით განსაზღვრული სასწავლო დატვირთვის ადეკვატურია. განსაზღვრულია დამოუკიდებელი და საკლასო მუშაობის საათები თითოეული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. თითოეული საგანი მიმდინარეობს 15-16 კვირის განმავლობაში (საპრეზენტაციო კვირის ჩათვლით), 17-19 კვირა განსაზღვრულია ფინალური გამოცდისათვის, ხოლო მე-20 კვირა - ხელმეორე გამოცდის ჩატარებისათვის.

პროგრამა შინაარსობრივად ლოგიკური და დაბალანსებულია და უზრუნველყოფს საბაზისიო კურსების მიწოდებას სწავლების პირველ ეტაპზე, ხოლო შედარებით რთული და კომპლექსური საგნების თანმიმდევრულ მიწოდებას მომდევნო კურსებზე.

პირველ (I) და მეორე (II) სასწავლო წელს პროგრამით განსაზღვრულია ზოგადსაუნივერსიტეტო და დარგობრივი სავალდებულო საბაზისო კურსები როგორებიცაა დემოკრატია და მოქალაქეობა, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, შესავალი სახელმწიფო მართვაში, შესავალი სამართალმცოდნეობში, შესავალი ეკონომიკაში ა.შ. მეორე (II) სასწავლო წლის ბოლო - მეოთხე სემესტრიდან პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო კურსების ეტაპობრივი გართულება და შესაბამისად მესამე (III) და მეოთხე (IV) სასწავლო წლებში პროგრამით განსაზღვრულია შედარებით რთული და კომპლექსური საგნების მიწოდება როგორებიცაა კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართალი, სახელმწიფო ბიუჯეტირება, ელექტრონული მმართველობა, ა.შ. ასევე, მესამე (III) კურსიდან პროგრამა ითვალისწინებს მრავალფეროვანი დარგობრივი ასარჩევი საგნების შეთავაზებას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევთ პროფესიული ინტერესის შესაბამისად აირჩიონ და მიიღონ ცოდნა სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის კურსი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს, რომ სურვილის/ინტერესის შემთხვევაში შეარჩიონ მათთვის საინტერესო ორგანიზაცია საჯარო სამსახურში, საერთაშორისო ორგანიზაციაში თუ არასამთავრობო სექტორში და სწავლის პერიოდის ბოლო წლებში მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება რეალურ სამუშაო გარემოში. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანაში მოქმედებს როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ცენტრალიზებულად ადმინისტრირებული პრაქტიკა საჯარო სამსახურში, ასევე ცალკეული ორგანიზაციული პრაქტიკის შესაძლებობა როგორც საჯარო, ასევე არასამთავრობო სექტორში. აგრეთვე მზარდია მოთხოვნა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ანაზღაურებად და არანაზღაურებად პრაქტიკაზე. შესაბამისად, დამამთავრებელი კურსის სტუდენტს, რომელიც შესაძლოა დაინტერესდეს პრაქტიკის შესაძლებლობით სრულ განაკვეთზე 1 სემესტრის განმავლობაში, მოუწევს

შეათავსოს პრაქტიკა სრულ საუნივერსიტეტო დატვირტვასთან, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის პრიველი სამუშაო გამოცდილების მიღებას სწავლის პერიოდშივე. ამიტომ რეკომენდებულია, პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკში გათვალისწინებული იყოს პროფესიული პრაქტიკის კურსი, რომელიც დარეგულირდება შესაბამისი სილაბუსით (სადაც გაწერილი იქნება პრაქტიკის დადასტურების, ორგანიზებისა და ანგარიშგების მექანიზმები) და საშუალებას მისცემს სტუდენტებს გამოიყენონ ბაზარზე არსებული შესაძლებლოები სწავლის მაღალ საფეხურებზე (იხ. რეკომენდაცია 1) ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი, რაც გახლდათ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს მოსაზრებას, რომ სასურველია საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი დაემატოს ასარჩევი საგნების ბლოკს, რაც კვლევითი და პოლიტიკის დოკუმენტის (Policy Paper) შემუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებით დაინტერესებულ სტუდენტებს მისცემს რელევანტური მეთოდოლოგიის განსაზღვრის, მინაცემთა დამუშავების, ანალიზისა და წერის უნარების განვითარების შესაძლებლობას.

საერთო ჯამში, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, სფეროს მულტიდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე მოიცავს მენეჯერულ, სართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტებს, თუმცა ფოკუსირებულია პოლიტიკურ მიმართულებაზე, რაც ზოგადად შეძლება ახასიათებდეს როგორც საჯარო პოლიტიკის (Public Policy) ასევე საჯარო მმართველობის (PA) პროგრამებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შინაარსი, სასწავლო დატვირთვა და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკში დააემატოს პროფესიული პრაქტიკის კურსი, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, სწავლის დამამთავრებელ საფეხურზე, ინტერესის შემთხვევაში ისარგებლონ შრომის ბაზარზე არსებული პრაქტიკის შესაძლებლობებით როგორც საჯარო ორგანიზაციებში, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, გაიარონ პრაქტიკა და მიიღონ სამუშაო გამოცდილება რეალურ ორგანიზაციულ გარემოში. პრაქტიკის ნამდვილობის დადგენის ასევე მისი პრაქტიკული ღირებულებისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით მიზნით, პროფესიული პრაქტიკის კურსი უნდა დარეგულირდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებთან სილაბუსით ან/და პრაქტიკის სილაბუსით, რომელიც ზედმიწევნით განსაზღვრავს პრაქტიკაზე დაშვების, ორგანიზებისა და ანგარიშგების მექნიზმებს.

2. რეკომენდებულია, პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკს დაემატოს საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი, რომელიც კვლევითი და პოლიტიკის დოკუმენტის (Policy Paper) შემუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მიღებით დაინტერესებულ სტუდენტებს მისცემს

წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად რელევანტური მეთოდოლოგიის განსაზღვრის, მინაცემთა დამუშავების, ანალიზისა და წერის უნარების განვითარების შესაძლებლობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა და დავალების კომპონენტები, სწავლების მეთოდები და შინაარსი, ასევე სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

აღსანიშნავია, რომ სილაბუსების ნაწილში მითითებულია მხოლოდ ძირითადი ლიტერატურა (მაგ: შესავალი სახელმწიფო მართვაში; პერსონალის მართვა საჯარო სექტორში). ასევე, სილაბუსების ნაწილში არ არის მითითებული ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოების გამოცემის წლები (მაგ: შესავალი საჯარო პოლიტიკაში).

თითოეული კურსისთვის განსაზღვრულია კრედიტების მოცულობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათები. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობა განსაზღვრულია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა განისაზღვრება კონკრეტული საგნის ფარგლებში დავალებების (ესსე, კვლევითი ნაშრომი, პრეზენტაცია, საკურსო) მიხედვით და შეესაბამება საგნის სპეციფიკას.

სილაბუსებში ასევე მკაფიოდ არის გაწერილი კურსის შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ცალკეული კურსის სპეციფიკას და სტუდენტს აძლევს საშუალებას წინასწარ ფლობდეს ინფორმაციას შეფასების კომპონენტებზე, ფორმებსა და კრიტერიუმებზე.

მთლიანობაში, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ადეკვატური და განახლებულია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელი, მოწვეული და აკადემიური პერსონალი, სტუდენტები)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ყველა ცალკეული კურსის სილაბუსში მითითებული იყოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ველში მოცემული სახელმძღვანელოების გამოცემის წლები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას და/ან მათ შესაბამის პროექტებში ჩართვას. დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი უნარების მისაღწევად პროგრამაში არის ისეთი სავალდებულო კურსები როგორიცაა „აკადემიური წერა“, „სტატისტიკური ანალიზის მეთოდები“ და კვლევის მეთოდები.“

სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის კავკასიის უნივერსიტეტში ყოველწლიური ტარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. ამავე მიზნით სკოლა თანამშრომლეობს არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე. რიგ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია სასწავლო ვიზიტები შესაბამის დაწესებულებებში ან მაღალი დონის სპიკერების მოწვევა უნივერსიტეტში.

ამავე მიზანს ემსახურება სკოლის ისეთ საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა როგორებიცაა მაგალითად ჟან მონეს კათედრა, ევროკავშირის ინიციატივა “მერები ეკონომიკური ზრდისთვის” (M4EG), Erasmus + CBHE ინსტიტუციური განვითარების 2017 წლის პროექტი „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY) და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა.
- ინტერვიუების შედეგები სტუდენტებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სხვადასხვა ღონისძიების შესახებ:
  - (მაგ: ვორკშოპი სტუდენტებისთვის - https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi/csg-cu-workshop)
  - კონფირენცია: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi/cu-csg-conference)
  - ჟან მონეს კათედრის საზაფხულო სკოლები:
    - https://cu.edu.ge/ka/grant-projects/cu-grant-projects-news/csg-summer-schoo
    - https://cu.edu.ge/en/news-page/csg-jean-monnet-project-summer-school
  - მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის აქტივობები - მშვიდობის საერთაშორისო კონფერენცია:
    - https://cu.edu.ge/schoolss/csg/siakhleebi/pestuge-tipc-cu

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სწავლის პერიოდში პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია მოხალისეობრივი საქმიანობის (Community work/Volunteering) კომპონენტის შემოღება, რაც სტუდენტებს დაეხმარება ჩაერთონ საზოგადოებისთვის სასარგებლო სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობაში. • სასურველია გაძლიერდეს პროგრამის ცალკეული კურსების ფარგლებში (მაგ: შესავალი საჯარო მართვაში) არსებული სასწავლო ვიზიტების (study visits) პრაქტიკა, გავცელდეს სხვა კურსებზეც (მაგ: შესავალი საჯარო პოლიტიკაში) და დაემატოს პროფესიული კონტაქტების ჩამოყალიბების (networking) კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციების შესახებ მეტ ინფორმირებულობას, საკონტაქტო პირების, კომუნიკაციების არხებისა და მეთოდების შესახებ თვალსაჩინო და პრაქტიკული ინფორმაციის მიღებას, რაც უფრო დინამიკურს, პრაქტიკულს და საინტერესოს გახდის სწავლის პროცესს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების მეთოდები სრულად არის ასახული საგნების სილაბუსებში, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებზე გასვლას უზრუნველყოფს. პროგრამაში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორებიცაა:

- ინტერაქტიული ლექცია
- ჯგუფური და გუნდური სამუშაოები
- პრაქტიკული მუშაობა სემინარი
- პრეზენტაცია, დისკუსია და დებატები
- როლური და სიტუაციური თამაშები

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი გამოკითხვის მეთოდები როგორებიცაა ტესტი, ღია კითხვები, ესსე, შემთხვევის გარჩევა, ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, პროგრამა ხშირად მასპინძლობს მოწვეული სტუმრებს, რომლებიც სხვადასხვა თემატიკაზე სტუდენტებს ხვდებიან პრეზენტაციების, დისკუსიების, სემინარების, ერთდღიანი ლექციებისა თუ მრგვალი მაგიდის ფორმატში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები.
- სახელმწიფო მართვის სკოლაში პროგრამის ფარგლებში მოწვეული სპიკერებისა თუ სასწავლო კურსების ფარგლებში განხორციელებული გასვლითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია:
- ვებ-გვერდზე განთავსებული ინფრომაცია: https://www.cu.edu.ge/ka/schoolss/csg/siakhleebi

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს სტუდენტთა ელექტრონული პორტალი, სადაც განთავსებულია სასწავლო კურსის საგნების სილაბუსები და აისახება შესაბამისი შეფასება და საკომუნიკაციო ელ-ფოსტა career@cu.edu.ge, რომლის მეშვეობითაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს უკუგება შეფასებასთან დაკავშირებით. ყოველი საგნის სილაბუსში გაწერილია შეფასების თითოეული კომპონენტის კრიტერიუმებისა და ქულების რუბრიკა. სტუდენტების შეფასება ხდება ორი გზით: შუალედური და დასკვნითი. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური ანუ 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩაბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამისობაშია ამ კურსის სწავლის შედეგებთან, რაც პროგრამის ერთ-ერთი ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე და ზედმიწევნით არის გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსებში, შესაბამისად წინასწარ არის ცნობილი სტუდენტისთვის.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე და რომელიც ახლადჩარიცხულ სტუდენტს საორიენტაცო ტრენინგზე საქაღალდის სახით გადაეცემა, შეიცავს დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტის პროგრამის, სწავლის მიზნებისა და შედეგების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, კრედიტებისა და შეფასების შესახებ, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს სასურველი

ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე. დამატებით დეტალებს სტუდენტები ეცნობიან პროგრამის პრეზენტაციაზე, რომელსაც ატარებს სახელმწიფო მართვის სკოლის დეკანი.

სწავლის პროცესში სტუდენტები იღებენ იდივიდუალურ კონსულტაციას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისაგან, რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსში. აგრეთვე სტუდენტები სარგებლობენ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტით, სადაც პერიოდულად ეგზავნებათ სიახლეები. შესაბამისად პროგრამაში ჩართული პირები სათანადოდ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის ტარდება შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან.

უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, ასევე სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში მიაწოდებენ სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, რაც ხშირად აღინიშნა სტუდენტებთან ინტერვიუებისას. აღსანიშნავია ელექტრონული უკუგების სისტემა, რომელსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დასაქმების სამსახური, რომელიც პერიოდულად აწყობს შეხვედრებს შრომის ბაზრის წამყვან კომპანიებთან და ახორციელებს სტუდენტების ინფორმაციის ამაღლებას კარიერული განვითარების შესახებ, თუმცა სასურველი იქნებოდა თუ აღნიშნული სამსახური თითოეულ მსურველ სტუდენტთან ინდივიდუალურად იმუშავებდა, რადგან პირადი პორტფოლიოს შედგენა სტუდენტისთვის შესაფერისი დამსაქმებლის შერჩევასა და კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საჯარო და კერძო სექტორთან, რისი დამსახურებითაც კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სტუდენტები ახერხებენ დასაქმებას, რაც გამოვლინდა კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას.

- პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში. უნივერსიტეტში ტარდება ყოველწლიური შიდა სასკოლო სტუდენტური კონფერენცია, რაც საშუალებას აძლევს საჯარო მმართველობის სტუდენტებს განივითარონ კვლევითი უნარები. მათ ასევევე შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით erasmus+-ისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ორხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში. აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები არიან ინფორმირებულები, რაც ასევე აღინიშნა ინტერვიუს დროს. კავკასიის უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სტატისტიკური მონაცემები, რაც ადასტურებს სტუდენტების საერთაშორისო მობილობის აქტიურ პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- საერთაშორისო ურთიერთობების და პროექტების დეპარტამენტის დებულება;
- სტუდენტთა დასაქმების სამსახურის დებულება;
- სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის დებულება;
- სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება;
- სტუდენტების ომბუდსმენის ოფისი;
- კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის დებულება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დასაქმების სამსახური, რომელიც პერიოდულად აწყობს შეხვედრებს შრომის ბაზრის წამყვან კომპანიებთან და ახორციელებს სტუდენტების ინფორმაციის ამაღლებას კარიერული განვითარების შესახებ, თუმცა სასურველია აღნიშნულმა სამსახურმა თითოეულ მსურველ სტუდენტთან ინდივიდუალურად იმუშავოს, რადგან პირადი პორტფოლიოს შედგენა სტუდენტისთვის შესაფერისი დამსაქმებლის შერჩევასა და კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • სტუდენტური სერვისები საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ძლიერი მხარეა • სკოლის ფარგლებში არსებული მოცულობითი აკადემიური ბაზები და ლიტერატურა, რაც იძლევა სათანადო სამაგიდო კვლევის ჩატარების საშუალებას. • უცხოელ პარტნიორთა მრავალფეროვანი ქსელი, რაც აძლევს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობას
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრმა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება საჯარო მმართველობისა თუ მონათესავე მიმართულებებში. აღნიშნული დასტურდება პერსონალის პირადი საქმეებითა და ბოლო 5-10 წლის განმავლობაში გამოცემული სამეცნიერო სტატიებით, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებში, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობით. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისია და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთათვის იმ კომპეტენციების გამომუშავებას, რომლებიც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის ზღვრული ნიშნულები, რომლის მიხედვით 1) აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მინიმალური რაოდენობა სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში არ უნდა იყოს 1/10-ზე ნაკლები, 2) აფილირებული პერსონალის რაოდენობა აკადემიური პერსონალის მთლიან რაოდენობასთან მიმართებით უნდა იყოს არანაკლებ 5% და 3) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/2-ს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 აკადემიური და 30 მოწვეული ლექტორი რომლებიც ემსახურებიან 62 სტუდენტს. აკადემიური პერსონალიდან 7 გახლავთ უნივერსიტეტთან აფილირებული. შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და თანაფარდობა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის დადგენილ ზღვრულ ნიშნულებთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას და პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელი შესაბამისი კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ასევე არის აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლების ქსელის NISPAcee-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და ჩართულია ორგანიზაციის საქმიანობაში.

პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისთვის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურსა თუ სკოლაში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე თანამშრომლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმები
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", რომელიც აღწერს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასების მექანიზმებს, როგორც სტუდენტების მიერ, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტების მიერ შეფასება ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს დადგენილი კითხვარის საფუძველზე ელექტრონული ფორმით პროგრამის კომპონენტის ანონიმურ შეფასებას ღია და დახურული კითხვების საშუალებით. ხოლო, ადმინისტრაციის მიერ შეფასება გულისხმობს ორ ძირითად ეტაპს: 1) დაგეგმვა/პროფესიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და 2) განხილვა/შეფასებას, სადაც შეფასების კრიტრიუმები განისაზღვრება 3 კომპონენტით სწავლა/სწავლება, კვლევა და ადმინისტრაციული საქმიანობა). ინტერვიუებისას გამოიკვეთა აღნიშნულის მიუხედავად, აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან ინტერვიუებისას აქცენტი გაკეთდა პერსონალის სტუდენტების მიერ შეფასებაზე, რომელიც გამოიკვეთა როგორც პერსონალის შეფასების ძირითადი მექანიზმი. გარდა აღნიშულისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიული განვითარების, კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის სხვადასხვა მექანიზმს. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ლექტორები ჩართულები არიან სხვადასხვა ფორმატის პროფესიულ ღონისძიებებში როგორებიცაა, ტურნიტინსა და მუდლის ელექტრონული პლატფორმების ტრენინგი, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლების პროფესიული ასოციაციის (NISPAcee) კონფერენციებში მონაწილეობა და აშ. NISPAcee-ს აქტიური წევრის სტატუსი ასევე მოიცავს სფეროში სამეცნიერო საქმიანობას, მულტილატერალულ კვლევებში მონაწილეობასა და კვლევების წარმოებას.

უსდ ასევე ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კველვითი საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას, რასაც ადასტურებს ბიუჯეტში გათვალისწინებული განვითარების, კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ანგარიში) • პროგრამის ბიუჯეტი • სტუდენტების მხრიდან ადმინისტრაციის შეფასების კითხვარი • ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც ვიზუალურად დაცულია უსაფრთხოების თანამედროვე ნორმები სიგნალიზაციის, ცეცხლმაქრების, პერიმეტრის ვიდეო კონტროლისა და უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის ჩათვლით. თვითშეფასების მიხედვით "შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს".

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას მოხდა სხვადასხვა ოფისის, ბიბლიოთეკის, საკონფერენციო დარბაზისა და აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერება, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით.

ბიბლიოთეკა აჭურვილია სამკითხველო დარბაზით, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით, რომელიც ასახულია ბეჭდური ფონდისა და ელექტრონული ფონდის ელ-კატალოგებში და ხელმისაწვდომია ტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და შესაბამისი საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით, როგორებიცაა Cambridge Journals Online, EBSCO Elit package, International Security & Counter Terrorism Reference Center და სხვა. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის ფონდი მნიშვნელოვნად გამდიდრდა 2014 წლის შემდეგ ახალი ლიტერატურით, უსდ-ს საერთაშორისო პარტნიორების ხელშეწყობით.

საერთო ჯამში, უსდ-ს ახალი კამპუსი, თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მატერიალურ- ტექნიკური რესურსი შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ. შესაბამისად, უსდ-ს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა სრულიად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მოთხოვნებს.

თუმცა, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, სტუდენტები ნაკლებად იყენებენ ბიბლიოთეკაში არსებულ მატერიალურ და ელექტრონულ რესურსებს, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გარდა. სასურველია ლექტორების მხრიდან მოხდეს სტუდენტების წახალისება, რომ დამოუკიდებლად მოიძიონ შესაბამისი წყაროები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შენობა-ნაგებობის ვიზუალური დათვალიერება
- უნივერსიტეტისმატერიალური და ტექნიკური რესურსი
- წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო და აკადემიურ ბაზებზე
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი
- ინტერვიუს შედეგები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საჯარო ადმინისტრირების სკოლების ქსელის NISPAcee-ის ექსპერტების ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- 2014 წლის შემდეგ ბიბლიოთეკის რესურსების მნიშვნელოვანი განახლება

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტებისგან მისაღები შემოსავალი და პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები, მათ შორის პროგრამის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის და გაუთვალისწინებელ ხარჯების მუხლები.

პროგრამის ბიუჯეტში ასევე თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას.

ბიუჯეტით გათვლისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს.

პროგრამის საერთო შემოსავლის დაახლოებით 5% გამიზნულია პროგრამის განვითარების, კვლევითი კომპონენტის, აკრედიტაცია/ავტორიზაციის, ინტერნაციონალიზაციისა და სხვა ხარჯების დასაფარად. სასურველია ამ მუხლის მეტი დაკონკრეტება და ზემოთ მითითებული აქტივობებისათვის, ასევე სტუდენტური პროექტების განხორციელებისათვის კონკრეტული თანხების მითითება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები (ფინანსური დეპარტამენტის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი)
- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს და გულისხმობს კვლევითი და ადმინისტრაციული რესურსების მუდმივ შეფასებას.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდ-ში კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზებულად ახდენს ყველა სკოლისა და პროგრამის მონიტორინგს. სკოლის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან თანამშრომლობს საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამების მუდმივი მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია ასევე სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტში გადაწყვეტილებები მიიღება ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებია:

- ხარისხის კონტროლი
- ხარისხის გაუმჯობესება
- საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება
- სამიზნე ნიშნულების დადგენა (benchmarking)
- საერთაშორისო რეიტინგებში მონაწილეობა (ინსტიტუციური/პროგრამული)
- დიპლომის/კვალიფიკაციის აღიარება საერთაშორისო დონეზე

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე- განავითარე" (PDCA) ციკლის მიდგომას, რაც სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას მოიაზრებს, რისთვისაც სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვა/მენეჯმენტის კომპონენტებისათვის შეფასება ხორციელდება შემუშავებული ინდიკატორების შესაბამისად, მათ შორის, კონკრეტულ პროგრამაზე:

- პროგრამის მიზნების ბმა დარგის/სფეროს მოთხოვნებთან მიმართებაში (თანაფარდობა)
- პროგრამის სტრუქტურაში საჭირო ელემენტების/კომპონენტების წილი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ელემენტებთან/კომპონენტებთან)
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სასწავლო და კვლევითი კომპონენტების რაოდენობასთან
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა

ხარისხის უზრუველყოფის სამსახური ინტენსიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებაში, კონსულტაციებს უწევს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სილაბუსების შექმნის, შეფასების სისტემების, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტი
- თვითშეფასება

- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, თვითშეფასების ჯგუფი)
- საბაკალავრო პროგრამის შიდა შეფასების ფორმა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ სახელმწიფო მართვის სკოლა ეფექტურად იყენებს უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა პროგრამის აკრედიტაციის პროცესს, როგორც გარე შეფასების ინსტრუმენტს და უზრუნველყოფს რეკომენდაციების გათვალისწიენებას პროგრამის მუდმივი განვითარების მიზნით. წინა აკრედიტაციის პროცესის შემდეგ პროგრამა დახვეწა და განვითარება, თუმცა აღსანიშანვია, რომ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო კურსის სახით დამატების შესახებ. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს მოსაზრებას, რომ სასურველია საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტი დაემატოს ასარჩევი საგნების ბლოკს (იხ. რეკომენდაცია - ქვესტანდარტი 2.2).

გარე ხარისხის შეფასების მექანიზმად ასევე უნდა მოვიაზროთ NISPAcee-ს ქსელის ინტენსიური ჩართულობა პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში, ქსელის ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების მონაწილეობით განხორციელებული ცვლილებები სასწავლო პროგრამაში, ასევე, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ფარგლებში ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის განხილვა და გაანალიზება. იქედან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში, პერიოდულად განიხილავს სხვადასხვა უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკას და იყენებს აღნიშნულს როგორც გარე შეფასების მექანიზმს. მაგალითად თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია გასული წლის განმავლობაში

პროგრამის შესახებ დუბლინის უნივერსიტეტის პროფესორის, უოლტ კილროის, ინსბრუკის უნივერსიტეტის მშვიდობის ცენტრის პროფესორის, ჯოსეფინა ეჩევარიასა და დუბლინის უნივერსიტეტის ტრინიტის კოლეჯის პროფესორის ჯილიან ვაილის რეკომენდაციების საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედგები • უცხოელ პროფესორთა ვიზიტისა და ჩართულობის ამსახველი ინფორმაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრამა (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება შიდა და გარე ხარისხის შეფასების მექანიზმების სისტემა.

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ყველა საფეხურზე: მის დაგეგმვაში, განხორციელებაში (მიმდინარე შეფასებები, მათი შედეგების ანალიზი), შემოწმებასა და განვითარებაში. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. თუმცა, როგორც აღინიშნა სტანდრტი 1-ის აღწერაში, დამსაქმებელთა ჩართულობა არ ატარებს სისტემატურ ხასიათს და სასურველია ამ პროცესის მეტი ფორმალიზება.

სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით. თვითშეფასების შედეგად დადგენილი სირთულეების გასწორება განხორციელდება ყოველწლიურად.

ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგისთვის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი იყენებს შემდეგ მონაცემებს:

- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა
- პერსონალის კმაყოფილების კვლევა
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
- დამსაქმებელთა გამოკითხვა
- შრომის ბაზრის კვლევები

აღნიშნული გამოკითხვები ტარდება ყოველწლიურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კითხვარები: აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, ლექტორთა შეფასების, მოწვეული პერსონალის, სტუდენტის კმაყოფილების
- გამოკითხვები და კვლევის შედეგები: აკადემიური პერზონალის ანალიზი, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა კვლევა, პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, შრომის ბაზრის კვლევები
- ინტერვიუს შედეგები (ხარისხის უზრუნველყოფს დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნოდარ ხერხეულიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო დავითაშვილი

მარიამ ბურდილაძე